ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №5

ქ. თბილისი 18 ნოემბერი 2014 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.3. "მიმწოდებელი" - იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.
1.4. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ, ა(ა)იპ აფხაზეთის მეცნირებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ზაურ ლომთათიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს გამომცემლობა „მერიდიანი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორი გიორგი გიგინეიშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბეჭდვითი მომსახურებები (CPV კოდი: 79810000) (შემდგომში - მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1650 (ათასექვსასორმოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
4.2. ნაშრომი -„ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სერია" (CPV:79810000) ერთეულის ღირებულება შეადგენს 5.50 (ხუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 100 ცალს, სულ 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4.3. ნაშრომი -„ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია" (CPV:79810000) ერთეულის ღირებულება შეადგენს 5.50 (ხუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 100ცალს, სულ 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
4.4. ნაშრომი - „ოდიში" (CPV:79810000) ერთეულის ღირებულება შეადგენს 5.50 (ხუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 100 ცალს, სულ 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ზაურ ლომთათიძე.
6.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. საქონლის/მომსახურება მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, კოსტავას N 5,
7.2. საქონლის/მომსახურება მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 27 ნოემბრამდე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.2 პუნქტში.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისას.
9.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
9.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, ნაკლი/ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს აღნიშნული.

10. ხარისხი

10.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12.5. მხარე ვალდებულია 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე „შემსყიდველს".

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 27დეკემბერის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა (ა)იპ აფხაზეთის მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 5
ს/კ: 202445381 ტელ: 599501888
ბანკი: სს პრივატბანკი
ბ/კ: CAVOGE22
ა/ა GE74TP0036080020003316

ა(ა)იპ აფხაზეთის მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

ზაურ ლომთათიძე

მიმწოდებელი:

შპს გამომცემლობა
„მერიდიანი"
მის: ალ.ყაზბეგის გამზ.N47
ს/კ 200004850 ტელ:599541707
ბანკი: ვითიბი ბანკი ჯორჯია
ბ/კ: UGEBGE22
ა/ა GE37VT1000000085354506

შპს გამომცემლობა „მერიდიანი"-ს
დირექტორი

გიორგი გიგინეიშვილი